პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
— მარტი 2026 წელი

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლვოვისა და ბუდაპეშტის ქუჩების გავრცელების არეალის დაზუსტების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. საბურთალოს რაიონში, ლვოვის ქუჩის დასასრულად განისაზღვროს X479845 Y4619991 გრძედისა და განედის გადაკვეთის წერტილი.

2. საბურთალოს რაიონში, ბუდაპეშტისა და ლვოვის ქუჩებს შორის არსებული მონაკვეთი ჩამოყალიბდეს ჩიხად და მიენიჭოს ბუდაპეშტის I ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმა.

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი

STAFF OF TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

ადრესატი:

ეთერი მაჭარაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ნინო მეზვრიშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

წერილის ნომერი:**პ/31379483**
თარიღი: **09/03/2026**

როგორც მოგეხსენებად,

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია შენობა-ნაგებობების ნუმერაციის თანამედროვე სტანდარტების უზრუნველსაყოფად და შემდგომ მისამართის არმნიშვნელი აბრების განთავსების მიზნით რეგულარულად ახორციელებს თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული გზათა ქსელებისა და ქუჩების გავრცელების არეალების შესწავლას. ხსენებულ პროცესში კომისია კონსულტაციებს აწარმოებს როგორც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და თბილისის მერიის შესაბამის სამსახურებთან, ასევე დაინტერესებულ პირებთან და ქუჩაზე მაცხოვრებელ მოქალაქეებთან.

"თბილისი - ქუჩები, გამზირები, მოედნები" ,საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის 2008 წლის გამოცემის მიხედვით ლვოვის ქუჩა მდებარეობს საბურთალოს რაიონში, სოფრომ მგალობლიშვილის ქუჩიდან ბუდაპეშტის ქუჩამდე, წარმოიქმნა XXს-ის 40-იან წლებში.

ლვოვის ქუჩის გავრცელების არეალის ფაქტობრივი შესწავლისას დგინდება, რომ ქუჩას ქალაქგეგმარებითი კავშირი არ აქვს ბუდაპეშტის ქუჩასთან. 01.10.12.031.002 საკადასტრო ერთეული ქუჩას ორ ნაწილად ყოფს, აღნიშნული გეგმარებითი უწუსტობა ქუჩის დაახლოებით 100 მეტრიან მონაკვეთს აყალიბებს ჩიხად, ხსენებულ ჩიხში როგორც ქვეითებისთვის, ასევე სატრანსპორტო საშუალებებისთვის მოხვედრა შესაძლებელია მხოლოდ ბუდაპეშტის ქუჩის გავლით.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, კომისიის გადაწყვეტილებით მიზანშეწონილია დაზუსტდეს ლვოვის ქუჩის დასასრულის მდებარეობა, 01.10.12.031.002 საკადასტრო ერთეულთან არსებული X479845-Y4619991 გეოგრაფიული გრძედისა და განედის გადაკვეთის წერტილი განისაზღვროს ლვოვის ქუჩის დასასრულად. ხოლო ბუდაპეშტის ქუჩიდან 01.10.12.031.002 საკადასტრო ერთეულის წითელ ხაზამდე არსებული მონაკვეთი ჩამოყალიბდეს ჩიხად და მიენიჭოს ბუდაპეშტის I ჩიხის სახელი.

გთხოვთ, უზრუნველყოთ კომისიის გადაწყვეტილების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების გატარება, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში.

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032606965**
თარიღი: **10/03/2026**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი საბურთალოს რაიონში მდებარე ბუდაპეშტისა და ლვოვის ქუჩების გავრცელების არეალების დაზუსტებასთან დაკავშირებით.
ლვოვის ქუჩის გავრცელების არეალის ფაქტობრივი შესწავლისას დგინდება, რომ ქუჩას ქალაქგეგმარებითი კავშირი არ აქვს ბუდაპეშტის ქუჩასთან. კომისიის გადაწყვეტილებით, მიზანშეწონილია დაზუსტდეს ლვოვის ქუჩის დასასრულის მდებარეობა, კერძოდ, 01.10.12.031.002 საკადასტრო ერთეულთან არსებული X 479845-Y4619991 გეოგრაფიული გრძედისა და განედის გადაკვეთის წერტილი განისაზღვროს ლვოვის ქუჩის დასასრულად, ხოლო ბუდაპეშტის ქუჩიდან 01.10.12.031.002 საკადასტრო ერთეულის წითელ ხაზამდე არსებული მონაკვეთი ჩამოყალიბდეს ჩიხად და მიენიჭოს ბუდაპეშტის I ჩიხის სახელი.
მოგმართავთ თხოვნით, გამოგვიგზავნოთ ბუდაპეშტის I ჩიხის სიტუაციური ნახაზი დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი